20(175) 2 ივნისი, 2000 წ   პარასკევის გამოშვება   30 თეთრი

# ფანტაზია 2000

**თარაზულად:**
1. საქართველოს მდინარე. (უწყლოდ მეხილეობა ვერ განვითარდება). 4. რა შეიძლება მოგჭრას მჟავე ხილმა? 9. შაქრიან წყალში მოხარშული ხილი. 10. ეთერზეთოვანი მცენარე, რომლის ნაყოფისგან არაყიც მზადდება და მედიცინაშიც გამოიყენება. 14. (თუნდაც) ხილის გარსი. 15. სასმელი, რომელიც თეთრი ღვინისა და კონიაკის ნარევს წარმოადგენს ახალ ხილთან. 16. ერთი სამურაბე ხილის დასავლურქართული სახელი. 18. „აყვავებული" ხე ნაჭუჭიანი ნაყოფით. 19. საკონდიტრო ნაწარმი, რომელსაც ძალიან უხდება ხილით მორთვა. 20. ვის ეკუთვნის პოემა „ფორთოხალა"? (სახელი) 23. სახეობა, ჯიში (თუნდაც ხილისა). 24. რომელი ჩვენი სიმბოლოა ძირითადად შინდისფერი? 30. ძვირფასი კენკროვანი მცენარე. 31. მხარე, სადაც უპირატესად გაშენებული იყო ჩხავერის ნარგავები. 32. საშამპანურე ვაზის ჯიში. 34. იმპრესიონიზმის წინამორბედი მხატვარი, რომელსაც ხილის ხატვაც მშვენივრად ეხერხებოდა. 35. ყავის პოპულარული მარკა (ისიც ხომ ერთგვარად ხილია!) 36. ყურძნის სუფრული ჯიში. 39. ღვიძლის დაავადებისას ხმარობენ (.......) ნაყენს. 40. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გავრცელებული მსხვილი ნაყოფი, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთათვის დელიკატესია, უცხოელებს კი გულს ურევს. 41. დავრჩეთ ფლორის სამყაროში და იტალიური ფიჭვის მეორე სახელი გავიხსენოთ. 42. ცნობილი ბაღის პატრონი ჩვენი ფოლკლორის თანახმად.

.

**შვეულად:**
2. სხვადასხვა ხილის გემოს მქონე, წყალში გასახსნელი ფხვნილის სახეობა. 3. მხატვრობაში - სურათი, რომლის მთავარი თემაა მაგიდაზე დაწყობილი ხილი. 5. აფრიკული ხილი. 6. კვლავაც ფლორის სამყაროდან - ჭაობის ერთგვარი მცენარე. 7. საკმაოდ კარგი სამურაბე ხილი. 8. ამ ხილით კარგი მურაბა მზადდება და უმიც მშვენიერია. 11. ქიმიური ელემენტი, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ზოგი სახეობის ვაშლი (ეს თვალნათლივ ჩანს გაჭრილი ნაყოფის ფერის ცვლილებაზე). 12. მოყვითალო, ტკბილი ხილი, რომელიც შიგნით მშრალია და ფქვილივით იშლება. 13. შირაზი მთელ ირანში განთქმულია ხილით. ჩაწერეთ ისტორიული პროვინცია, რომლის ცენტრიცაა ის. 17. „მახრჩობელა" ხილი. 21. ბაღჩეული, რომელიც არცთუ ჭკვიანი კაცის თავის „სიმბოლოა". 22. ფორთოხლის მსგავსი ციტრუსოვანი, უფრო მომჟავო. 25. ნივთიერება, რომელსაც ხილთა უმრავლესობა თითქმის სრულიად არ შეიცავს. 26. ჩვენში ერთობ ძვირადღირებული ტროპიკული ხილი. 27. რა აქვს ატამს ან გარგარს „თვალშისაცემი" და ნაკლებ შესამჩნევი აქვს მანდარინს? 28. სიტყვა საბურთალოს ტოპონიმიკიდან, რომელიც ჩვენი კროსვორდის თემას მჭიდროდ უკავშირდება. 29. უნგრული სადესერტო ღვინო. 33. ხილის მსხმოიარე ხეები. 37. ეგზოტიკური ხილი... ავსტრალიური წარმოშობით. 38. გამხმარი ხილი



## ცხელი ზაფხულის პირველი კროსვორდი ანუ

# ხილთაქება

საკროსვორდო ენციკლოპედია დიდებული რამ ყოფილა, არა!
(მე-2 გვ.)

დიდებული დემი მური - მსოფლიო კინოს ქალღმერთი...
(მე-3 გვერდი)

ფეხბურთი - თავისი დიდებულებითა და ბრალებითა წყინვალებით...
(მე-7 გვერდი)

XX საუკუნის ლამაზმანი №2 - ჯეინ მენსფილდი
(მე-13 გვ.)

...და კიდევ ვიმეორებთ, რომ ჩვენ ვაპირებთ „ფანტაზიის" 100 საუკეთესო საკროსვორდო გამოცემას შემოდგომაზე

შეადგინა გიორგი ვეკუამ

ორი სიმეტრიული კროსვორდის დიდებული ხედი მე-8 გვერდზე

**აზღუდი** - 1) ქალის გარდერობის შემადგენელი ნაწილი. 2) იგივეა, რაც ბარტყი.
**აზჰარი** ისმაილ - სუდანის XX ს ცნობილი პოლიტ. მოღვაწე.
**ათა** - თურქულად „მამა“.
**ათაბაგი** - სელჯუკთა სახ.-ში ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი; საქართველოში - ვაზირი.
**ათაბასკა** - ტბა და მდინარე დას. კანადაში.
**ათაბასკები** - ინდიელთა ტომები.
**ათათურქი** მუსტაფა ქემალ - თურქეთის რესპ. ფუძემდებელი და მისი პირველი პრეზიდენტი.
**ათაი** - XV ს უზბეკი პოეტი.
**ათამანია** - მხარე ძვ. საბერძნეთში.
**ათანატი** - სირაკუსელი ისტორიკოსი (ძვ. საბერძნეთი).
**ათანასე** ათონელი - X ს დიდი ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე.
**ათაჟუკინი** ყაზი - XIX ს ყაბარდოელი განმანათლებელი.
**ათარა** (ნაბჟოუ) - სოფელი ოჩამჩირის რ
**ათარბეგოვი** გიორგი - საბჭოელი მოღვაწე-რევოლუციონერი.
**ათარი** - 1) ფარიდ ალდინ ,ოჰამედ იბნ იბრაჰიმ - XII-XIII ს სპარსელი პოეტი. 2) მეწვრილმანე.
**ათარჰაბლა** - სოფელი გუდაუთის რ
**ათასეული** - პოლკის, ბრიგადის უმაღლესი ტაქტიკ. ქვეგანაყოფი, ბატალიონი.
**ათასი** - რიცხვითი სახელი 1000.
**ათასისთავი** - სამხედრო მოხელე ძვ. საქართველოში.
**ათასწლეული** - ათი საუკუნე ანუ მილენიუმი.
**ათაშანგი** (სიფილისი) - ვენერული დაავადება.
**ათბასარი** - ქალაქი ყაზახეთში.
**ათბაში** - მთაგრეხილი ტიან-შანის მთებზე.
**ათეიზმი** - ღმერთის, რელიგიის უარყოფა.
**ათეისტი** - ურწმუნო, ღმერთის უარმყოფელი.
**ათენა** - ძვ.ბერძნ. მითოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება, ზევსის ასული.
**ათენგენობა** - ქრისტ. დღესასწაული საქართველოში აღდგომიდან 98-ე დღეს.
**ათენაგორა** - ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი.
**ათენეონი** - ათენას ტაძარი.
**ათენი** - 1). საბერძნეთის დედაქალაქი. 2). ისტ. ნავსადგური შავი ზღვის სამხრეთით.
**ათენოდორე** - ძვ. ბერძენი მოქანდაკე.
**ათერინისებრნი** - კეფალისნაირთა რიგის თევზების ოჯახი.
**ათერომა** - კეთილთვისებიანი სიმსივნისებრი წარმონაქმნი.
**ათეროსკლეროზი** - გულსისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავდება.
**ათერტონი** - პლატო ავსტრალიაში.
**ათეტოზი** - უნებლიე მოძრაობის თავისებური ფორმა.
**ათეული** - პირველადი საჯარისო ქვეგანაყოფი.
**ათეშგაჰი** - ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი.
**ათი** - რიცხვითი სახელი 10.
**ათიანი** - სამიზნეს ცენტრი სასროლეთში.
**ათინათი** - ჭუჭრუტანიდან ბნელში შეღწეული მზის სხივი.
**ათირეოზი** - ფარისებური ჯირკვლის ფუნქციის სრული მოშლა.
**ათისთავი** - მუშათა მცირე ჯგუფის უფროსი.
**ათიძთა** - სოფელი გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე.
**ათლეტი** - ბრგე და ღონიერი კაცი.
**ათლეტიზმი** - იგივე კულტურიზმი.
**ათლეტიკა** - ძვ. საბერძნეთში ფიზიკურ თვისებათა განვითარების ხელოვნება.
**ათნოხი** - სოფელი დუშეთის რ
**ათონი** (აიონ-ოროსი) ნ.კუნძ. საბერძნეთში.
**ათრაქი** - ირან-თურქმენეთის მდინარე.
**ათრაში** - სირიის ეროვნული აჯანყების (1925-27) ხელმძღვანელი.
**ათრევი** - მდინარე გორის რაიონში.
**ათური** - ისიდას (ძვ ეგვიპტური ღმერთის) მეორე სახელი.
**ათძალი** - ძვ. ქართ. ათსიმიანი საკრავი, კითარის მსგავსი.
**ათწილადი** - წილადი, რომლის მნიშვნელი 10-ის მთელი ხარისხია.
**აი** - 1) მითითების სიტყვა. 2) მდინარე ურალში. უფის მარცხ. შენაკადი.
**აია** - 1) ძვ. კოლხეთის სამეფოს დედაქალაქი. 2) კონცხი ყირიმის ნ.-კუნძულზე.
**აიაზმა** - 1) ნაკურთხი წყალი. 2) ხუროთმოძღვ. ძეგლი წალკის რ
**აიაზმი** - სოფელი წალკის რ
**აიათი** - ყურანის სალექსო სტრიქონი.
**აიათოლა** (ირანში) - შიიტური სექტის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული.
**აიაკუჩო** - ქალაქი სამხრ. პერუში
**აიანქი** - ქალაქი აღმ. საფრანგეთში.
**აიანტები** - იგივე აიაქსები.
**აიაქოზი** - ქალაქი და მდინარე ყაზახეთში, ერთვის ბალხაშის ტბას.
**აიაქსები** - ტროას ომის ორი გმირი.
**აიაქსი** - ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი.
**აიაჩო** - კ. კორსიკის (საფრანგეთი) მთავარი ქალაქი.
**აიბექი** (მუსა თაშმუჰამედოვი) - XX ს უზბეკი მწერალი.
**აიგენი** რეშად ენის - XX ს თურქი მწერალი.
**აიგნერი** ხრისტიან პიოტრ - პოლონელი არქიტექტორი.
**აიდაჰო** - აშშ-ს შტატი.
**აიდი** - ძვ. ბერძნ. მითოლ. ქვესკნელისა და საიქიოს ღვთაება.
**აიდინი** - ქალაქი სამხრ.-დას. თურქეთში.
**აიდიო** - საუკუნო, გინა უცვალებელი (საბა).
**აიდიტი** დიპა ნუსანტარა - XX ს ინდონეზიის მუშათა მოძრაობის ლიდერი.
**აიდუკევიჩი** კაზიმეჟ - XX ს პოლონ. ფილოსოფოსი და ლოგიკოსი.
**აიერი** ალფრედ - XX ს ინგლისელი ფილოსოფოსი.
**აიეტი** - 1) არგონავტების თქმულების გმირი, კოლხეთის მეფე. 2) თბილისის ტელესაკომუნიკაციო ფირმა.
**აივაზოვსკი** ივანე - რუსი მხატვარი-მარინისტი.
**აივანი** - შენობის ფასადზე გამავალი ბაქანი.
**აივზი** ჩარლზ - XIX-XX ს ამერიკელი კომპოზიტორი..
**აიზენახი** - ქალაქი გერმანიაში.
**აიზენერცი** - ქალაქი ავსტრიაში.
**აიზენჰიუტენშტადტი** - ქალაქი გერმანიაში.
**აიზმანი** დავით - XX ს დასაწყისის რუსი ებრაელი მწერალი.
**აიზპუტე** - ქალაქი ლატვიაში.
**აითიევი** ღაფარ - XX ს ყირგიზი მხატვარი.
**აითიში** - სახალხო მთქმელთა პაექრობა ყირგიზეთ-ყაზახეთში.
**აითმათოვი** ჩინგიზ -XX ს ყირგიზი მწერალი.
**აიკა** - ქალაქი უნგრეთში.
**აილათი** - ქალაქი ისრაელში.
**აილამა** - მწვერვალი ცენტრ. კავკასიონზე.
**აილაოშანი** - ქედი ჩინეთში.
**აილენბურგი** - ქალაქი გერმანიაში.
**აილისლი** აქრამ - XX ს აზერბაიჯანელი მწერალი.
**აიმაკები** - ავღანეთში მცხოვრები ხალხი.
**აიმაკი** - მონღოლეთის ტერტ.-ადმ. ერთეული.
**აიმანოვი** შაქენ - ყაზახი მახიობი, სსრკ სახალხო არტისტი.
**აიმარა** - 1) სოფელი ოჩამჩირის რ 2) სამხრ. ამერიკის ინდიელი ხალხი.
**აიმი** - მდინარე და დაბა ხაბაროვსკის ოლქში.
**აინაჟი** - ქალაქი ლატვიაში.
**აინები** - კ. ჰოკაიდოზე (იაპონია) მცხოვრები ხალხი.
**აინზიდელი** იოჰან ავგუსტ - XVIII-XIX ს გერმ. ფილოსოფოსი.
**აინი** სადრედინ - XIX-XX ს ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი.
**აინინა** - წარმართული ღვთაება ძვ. საქართველოში.
**აინუნი** - „არაფრად ჩაგდების“ გამომხატველი სიტყვა.
**აინშტაინი** 1) ალბერტ - XX ს უდიდესი მეცნიერი, ფიზიკოსი. 2) სინათლის კვანტების ენერგიის საზომი ერთეული.
**აინშტაინიუმი** -რადიოაქტიური ქიმ.ელემენტი.
**აინჰარდი** - „კაროლინგური აღორძინების“ მოღვაწე ფრანკთა სახელმწიფოში (VIII-IX ს.)
**აიოვა** - აშშ-ს შტატი.
**აიონი** - კუნძული აღმ. ციმბირის ზღვაში.
**აი-პეტრი** - მწვერვალი ყირიმის მთებზე.
**აირანალიზატორი** - აირის ნარევის შედგენილობის განმსაზღვრელი ხელსაწყო.
**აირანი** - მაწვნის მსგავსი პროდუქტი თურქეთ-შუა აზიაში.
**აირაში** - მწვერვალი ლენტეხის რ.
**აირბეტონი** - უჯრედოვანი ბეტონის სახესხვაობა.
**აირგენერატორი** - მყარი და თხევადი სათბობისაგან საწვავი აირის მისაღები აპარატი.
**აირენი** - შუა სს სომხური პოეზიის სალექსო ფორმა.
**აირი** - 1) იგივე გაზი. 2) (აზბინი) - ზეგანი სამხრეთ საჰარაში.
**აირლიფტი** - შეკუმშული აირით სითხის ამოსაღები მოწყობილობა.
**აირმომარაგება** - აირის მრეწველობის შემადგენელი ნაწილი.
**აიროლო** - ქალაქი შვეიცარიაში.
**აირსადენი** - საწვავი აირის დიდ მანძილზე გადასაცემი ნაგებობა.
**აირსაცავი** - საწვავი აირის საცავი ნაგებობა.
**აირსიუხვე** - წიაღისეულის მოპოვებისას მისი მასის ან მოცულობის ერთეულზე გამოყოფილი აირის რაოდენობა.
**აირტონი** ჰენრი - XVII ს ინგლისის სამხ.-პოლიტ. მოღვაწე.
**აირუმები** - აზერბაიჯანელების ეთნოგრ. ჯგუფი.
**აირცვლა** - ადამიანისა და ცხოველების ორგანიზმში მიმდინარე ბუნებრივი პროცესი.
**აირწინაღი** - სასუნთქი ორგანოების და სახის დასაცავი ინდივიდუალური საშუალება.
**აირწმენდა** - სამრეწველო აირებიდან მინარევების გამოყოფის პროცესი.
**აისბერგი** - წყალში მცურავი ყინულის დიდი მთა.
**აისი** - გარიჟრაჟი.
**აისლებენი** - ქალაქი გერმანიაში.
**აისლერი** ჰანს - XX ს გერმანელი კომპოზიტორი.
**აისნერი** კურტ - XX ს გერმან. მუშათა მოძრაობის მოღვაწე.
**აისორები** - იგივე ასურელები.
**აისრიზენველტი** - კარსტული მღვიმე ავსტრიაში.
**აიტი** - იაპონიის პრეფექტურა კ. ჰონსიუზე.
**აიტნერი** რობერტ - XIX ს გერმანელი მუსიკათმცოდნე.
**აი-ტოდორი** - ყირიმის ნ.-კუნძულის კონცხი.
**აიტოსი** - ქალაქი ბულგარეთში.
**აიუბიდები** - დინასტია ადრეული შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში (ეგვიპტე).
**აიუ-დაღი** (დათვი-მთა) - მთა და კონცხი ყირიმის ნ.-კუნძულზე.
**აიუთაია** - უძველესი ქალაქი ტაილანდში.
**აიუი** რენე ჟიუსტ - ფრანგი კრისტალოგრაფი და მინერალოგი.

(1157)



1. ამერიკელი მსახიობი ქალი... საკმაოდ ფართო სამეტყველო-საღიმილო ორგანოთი (**6**) 2. თბილისელი არაქართველი დირიჟორი, ჩვენი ქალაქის საპატიო მოქალაქე (**5**). 3. მადაგასკარის დედაქალაქი (**8**). 4. დავით დროიძის ვაჟი ნინოშვილისეული „სიმონადან“ (**4**). 5. ალ. დიუმას რომანი ერთი დიდი იტალიელი მოქანდაკის ცხოვრების შესახებ (**7**). 6. დამანგრეველი ძალის მქონე ქარიშხალი (**7**). 7. მახრჩობელა გველის სახესხვაობა (**5**). 8. მწუხარების სახესხვაობა (**3**). 9. ძველი, ისტორიული დანიშნულების ხელნაწერი (**7**). 10. ჯგუფური მეცადინეობის სახესხვაობა (**4**). 11. „დაკიდული ბაღების“ მფლობელი დედოფალი უძველესი ისტორიიდან (**6**). 12. ცეკვა, როგორც ასეთი (**4**). 13. ჯოჯოხეთის ერთ-ერთი ბინადარი (**4**). 14. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტი (**5**). 15. „პატარძლის მოკრეფილი“ ერთ-ერთი ბოსტნეული კულტურა (**2**). 16. ცენტრალური ამერიკის კინაღამ გაკომუნისტებული სახელმწიფო (**7**). 17.ვინ მღერის - Пропадаю Я-ო? (**8**). 18. „მწვანე იმიჯის“ მქონე უალკოჰოლო სასმელი (**5**). 19. ჩინეთში მობინადრე ე.წ. „ბამბუკის დათვი“ (**8**). 20. დასავლეთ საქართველოს უძველესი მხარე (**4**). 21. სასუქად გამოყენებული სხვადასხვა შემადგენლობის აზოტმჟავა მარილი (**7**). 22. ასე ვთქვათ, მკბენარა, მაცდუნებელი და მიმზიდველი ანუ როგორი? (**7**). 23. საკანონმდებლო ორგანო აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში (**6**). 24. აღმოსავლური წარმოშობის ქალთა ცეკვა (**8**). 25. აფრიკაში მობინადრე ყარყატისებრი დიდი ფრინველი (**9**). 26. რა ერქვა ჩვენებურ შინჯიკაშვილის მამელუქთა სახელმწიფოს ლიდერს შუა საუკუნეებში? (**6**). 27. თუ გახსოვთ მსახიობი, რომელიც „მაია წყნეთელში“ აჭარელის როლს ასრულებს? (**7**). 28. ორგანიზმის მდგომარეობა, როცა ანალიზების აღება მიზანშეწონილია (**5**). 29. ერთ-ერთი პირველი ქართული საბავშვო ფილმი (**3**). 30. პიონერების შესაგროვებელი რამ კომუნისტობისას (**3**). 31. ქალაქი გერმანიაში, რომლის გუნდიც ჩვენს „დინამოს“ თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში დაუპირისპირდა (**5**). 32. ჩვენი ძველებური სამკურნალო წიგნი (**5**). 33. დედამიწის რიგ მობინადრეთა საცხოვრებელი ფართი (**3**). 34. ჯარიმა ოჯახის მიტოვებისათვის (**3**). 35. 70-იანი წწ ლენინგრადელი ფეხბურთელი, რომელიც დღეს რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი მწვრთნელია (**10**).

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 8 | | 15 | | 22 | | 29 | |
| 2 | | 9 | | 16 | | 23 | | 30 | |
| 3 | | 10 | | 17 | | 24 | | 31 | |
| 4 | | 11 | | 18 | | 25 | | 32 | |
| 5 | | 12 | | 19 | | 26 | | 33 | |
| 6 | | 13 | | 20 | | 27 | | 34 | |
| 7 | | 14 | | 21 | | 28 | | 35 | |

**01-30 ქულა** — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!
**31-70 ქულა** — მე-2 თანრიგი
**71-100 ქულა** — 1-ლი თანრიგი
**101-130 ქულა** — ოსტატი
**131-160 ქულა** — დიდოსტატი
**161-178 ქულა** — ბრავო, მაესტრო!
**180 ქულა** — ეს კროსვორდი თქვენ ხომ არ შეადგინეთ?!
(პასუხები — მე-14 გვერდზე)

# ანონსი



უახლოეს ნომერში რუბრიკით „მსოფლიო კინოს 50 ქალმერთი“ - **ნასტასია კინსკი**



**Demi Moore**

**დაიბადა 1961 წლის 11 ნოემბერს აშშ-ს ქალაქ როსუელში**

# დემი მური

დემი მურის ბავშვობა საიმისოს არაფერს წინასწარმეტყველებდა, რომ ეს გოგონა მოწიფულ ასეკში ასეთ დიდ, უფრო სწორად ფანტასტიურ წარმატებებს მიაღწევდა.

მისი მშობლრები ამერიკული საზოგადოების „თეთრი ნარჩენების" ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ. ისინი გამუდმებულ დავასა და აყალმაყალში ატარებდნენ ცხოვრებას და ორჯერ განქორწინებს-დაქორწინებაც კი მოახერხეს. დემის მამა ჩამოყალიბებული ლოთი იყო და იმ მცირედ შემოსავალსაც კი სმასა და ღრეობაში ფლანგავდა, რაც დროდადრო ოჯახს უჩნდებოდა, შეიძლება ითქვას, გაურკვეველი გზებით. დემის ბავშვობას ბედმა ესეც არ აკმარა და ფიზიკური ნაკლიც დაატანა ზედ; მას აშკარად თვალშისაცემი მზერაგამრუდებლობა სჭირდა (რაც ახლაც შეიძლება დალანდოს დაკვირვებულმა თვალმა) და ადრეულ ასაკში ორი სერიოზული ოპერაციის გადატანა მოუხდა, რათა ამ ნაკლისაგან შვება ეგრძნო, მით უმეტეს, რომ, მიუხედავად ოჯახური თუ გარემო პირობების შეუსაბამობისა, იგი თავისი თანატოლი გოგონებივით, რა თქმა უნდა, ნებისმიერი სფეროს „ვარსკვლავობაზე" ოცნებობდა.

ჰოდა, რაკიღა მისი მშობლების ოჯახის ზნეობრივი დონე პრაქტიკულად არანაირ შეზღუდვებს არ ითვალისწინებდა, 16 წლის დემიმ დაჰკრა ფეხი და მისი ქვეყნისათვის დამახასიათებელი ცხოვრების ორომტრიალში გადაეშვა, რასაც მავანი სოციოლოგ-ფსიქოლოგები „დამოუკიდებელი ცხოვრების" დასაწყისად მოიხსენიებენ. ასეა თუ ისე, ცხოვრება დაიწყო და ყმაწვლიქალს სარჩო-საბადებელზე უნდა ეზრუნა; პირველ ხანებში დემი მომხიბლავი გოგონების საწყის პროფესიას - მოდელიორობას - „დაეუფლა", რაც ნაკლებ წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მას ამერიკული კინოს მექაში საკუთარი სამსახური და თავის რჩენის საშუალება ჰქონდა; მომავალი კი წინ იყო... თუმცა ხსენებულ ასაკში გოგონები მომავალზე ნაკლებად ფიქრობენ ხოლმე და უფრო აწმყოში „არსებული" თავდავიწყებით იხიბლებიან, რასაც, უფრო ხშირად გათხოვება ჰქვია და დემის ცხოვრებაშიც შედგა ეს პირველი „სამოქალაქო აქტი" - იგი ცოლად გაჰყვა თავისზე 12 წლით უფროს როკ-მომღერალს ფრედი მურს (რომლის გვარსაც დღემდე ატარებს). მართალია, ეს ქორწინება დიდხანს არ გაგრძელდა, მაგრამ მან დემის საშუალება მისცა სერიოზული საქმიანობა დაეწყო, რასაც ბედმაც შეუწყო იმით ხელი, რომ დემიმ მის მეზობლად მცხოვრები, ასევე „სავარსკვლავო ტრამპლინზე" შემდგარი ნასტასია კინსკი (Nastassja Kinski) გაიცნო, რომელსაც უკვე მოესწრო მსახიობის პროფესიას შესდგომოდა. ახალგაზრდა ქალები დამეგობრდნენ და ნასტასიამ დემის რეკომენდაცია გაუწია შესაბამის დაწესებულებაში, როგორც ნიჭიერ, იმედისმომცემ მსახიობს...

*„არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენი ადამიანი მუშაობს შენზე; მთავარი ისაა, რომ შედგად კარგი კინო გამოდის და ამას ჩვენ ერთად ვაკეთებთ"*

...და თითქოს ფორტუნა იქ ელოდაო დემი მურს, რათა მისთვის გაეღიმა და ფართო ასპარეზზე გაეყვანა...

გაიარა რა სერიოზული კონკურსი, დემიმ პირველი დიდი როლი მიიღო სერიალში „ცენტრალური საავადმყოფო", რაც დამწყებისათვის ფეხბედნიერი სტარტი აღმოჩნდა. ეს სერიალი იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ დემიმ პარალელურად რამოდენიმე ფილმშიც მოახერხა გადაღება, რაც, რა თქმა უნდა, იმ მასშტაბების წარმატებებით არ დაგვირგვინდა, როგორც მას მომავალ კარიერაში ელოდა.

1984 წელს დემი მური მიიწვიეს მთავარი გმირის ქალიშვილის როლზე ფილმში „ყველაფერში დამნაშავეა რიო", სადაც მისი პარტნიორი სახელგანთქმული მაიკლ კეინი (Michael Caine) გახლდათ. იმავე წელს შედგა მეორე ფილმის პრემიერაც („წმინდა ელმის ჩირაღდნები"), სადაც დემიმ ნარკომანის როლი განასახიერა. კაცმა რომ თქვას, მას დიდი გარდასახვის უნარის გამოვლენა არ დასჭირვებია, რადგან თავადაც მიძალებული იყო ნარკოტიკებს. ასე რომ, რეჟისორ ჯოელ შუმახერს ულტიმატუმის წაყენება მოუხდა - ან კინო ან კოკაინიო - და, რა თქმა უნდა, დემიმ სწორი არჩევანი გააკეთა, რადგან ამ ხნის განმავლობაში მას კინემატოგრაფი თურმე თავდავიწყებამდე შეჰყვარებოდა. აღნიშნული ფილმის გადაღებისას დემის მეორე სიყვარულიც ეწვია და ეს იყო არა აბსტრაქტული ცნება „კინო", არამედ სრულიად კონკრეტული მსახიობი ემილიო ესტევესი და... მათი თავბრუდამხვევი რომანი სამი წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირეოდენი შესვენება-შენაცვლებებით!..

ერთ-ერთი მორიგი „შენაცვლებისას", სერიალ „მთვარის ნათების" გადაღებისას დემის ურთიერთობის დამყარება მოუხდა ბრუს ვილისთან, რომელიც მისი მომავალი სამი შვილის მამა გახდა!

პროფესიულ კარიერაში კი ერთგვარი ჩავარდნის ხანა დაუდგა დემის, რაშიც ეგებ აღნიშნული „რომანებიც" იყო დამნაშავე, მაგრამ მალე ყველაფერი გამოსწორდა, რადგან მას შესთავაზეს მთავარი გმირის განსახიერება ფილმ „მოჩვენებაში" (პატრიკ სუეიზთან ერთად), რასაც გამაოგნებელი წარმატება ხვდა წილად და სეზონის „ჰიტიც" კი გახდა. ასე დაიწყო ის თავბრუდამხვევი წლები, რომლის განმავლობაში დემის არაერთ სახელოვან მსახიობთან (ჯეკ ნიკოლსონი, ტომ კრუზი, სხვებიც...) ერთად მოუწია მაღალპროფესიულ ფილმებში მონაწილეობა, თუმცა ყველაფრის გვირგვინი მაინც ფილმი „სტრიპტიზიორი ქალი" აღმოჩნდა,რაც არაერთგვაროვნად შეფასდა კინოს სამყაროში, მაგრამ მსახიობისათვის მთავარი ის იყო, რომ მის ნამუშევრებს უკვე გულგრილად ველარავინ უცქერდა და ეს საკმაოდ დიდ და მყარ ფინანსურ შემოსავალშიც გადაიზარდა.

...რაც შეეხება ფინანსურ მხარეს - დემი მური ის ქალია, რომელიც თვლის, რომ შოუ-ბიზნესში წარმატების მისაღწევად ყველა გზა გამართლებულია და, რაც მთავარია, მაყურებლის თვალთახედვის არეში გამუდმებული ყოფნაა საჭირო. ასე რომ, ზედმეტ ზნეობრიობას არც აქ შეუწუხებია ხსენებული „თეთრი ნარჩენების" შთამომავალი და ბევრ, რბილად რომ ვთქვათ, „არამთლად საკადრის" ფილმშიც მიიღო მონაწილეობა. თქვენ წარმოიდგინეთ ერთხელ იგი ჟურნალ Vanity Fair-ის გარეკანზეც მოხვდა უზარმაზარი მუცლის დემონტრირებით, სადაც მისი მესამე შვილი უკვე მერვე თვის განმავლობაში ელოდა ქვეყნიერებაზე მოვლენას...



1998 წელს დემი მური და ბრუს ვილის ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა ოფიციალური განქორწინება არ შემდგარა და, როგორც მავანი ჟურნალისტები ვარაუდობენ, მათ თავისი სამი შვილისათვის ტრავმის მიყენება არ ისურვეს, რადგან განქორწინების არდაფიქსირება რაღაც პატარა იმედია შესაძლო შერიგებისა მომავალში...

**თარაზულად**: 1. ღვთაება, რომელსაც განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს სასწორისადმი. 4. დაჩირქების გამომწვევი ბურთისებრი მიკრობი. 9. სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების ერთგვარი ფორმა, როცა ქვეყნის საგარეო საქმეებს მხოლოდ „მპყრობელი" წარმართავს", შინაურს კი - „პყრობილიც". 16. ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთება. 17. როგორი „კუნძული" არსებობს ქართულ კინემატოგრაფიაში? 18. „სამყაროს მკვლევარის" ამერიკული ტიტული. 22. რა შეიძლება ეწოდოს ვალდის პელშს („**Угадай мелодию**") და მისთანებს? 23. XX ს დასაწყისის ერთ-ერთი უძლიერესი ამერიკელი მოჭადრაკე „დიდი საზღვაო წოდებით". 24. XII ს დიდაქტიკურ-სამოგზაურო ხასიათის სპარსული ნაწარმოები დიდი აღმოსავლელი მოგზაურის შესახებ. 28. არეულობა-ჭკუაგამრუდებლობის სახესხვაობა. 29. სპორტული ცნების - „კულტურიზმის" - სინონიმი. 30. ნაპოლეონის არმიის ყველაზე გენიალური ინტენდანტი. 34. სიტყვა, რომელიც წინ უსწრებს „მოურავს" ერთ მშვენიერ ქართულ გვარში. 35. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სიტყვის პირველი ნაწილი ნიშნავს „საქმეს", მეორე კი - „სახელს", შესაძლებელი იქნება მისი გაქართულებული ვარიანტის აღდგენა. 36. ქვეყნიერების სივრცე, სადაც ყველაზე მეტად დაკონსერვდა ფლორა-ფაუნის სამყარო. 37. XVIII-XIX სს გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი, იოჰან-გოტლიბ.... 42. ვოროშილევისეული თამაშის პერიფრაზი... „თხის" ინიციატივით. 43. დასავლურქართული ყურძნისა და ღვინის სახესვაობა. 44. გასული და შორეული ეპოქების ქალთა „დამცავი" კომპოზიტური ატრიბუტი... „ავმამაკაცური" მზერისაგან. 45. ნატო ვაჩნაძისეული კინოროლი. 50. ასე ვთქვათ, სიტყვა „მადა" ძველქალაქურ ყაიდაზე. 51. (მე მგონი, აკუსტიკური ელფერით...) თურქული წარმოშობის ერთგვარი ხორციანი სადილი. 52. სახელი ლონდონის საათისა, რასაც თბილისში ნაირგვარ სავაჭრო ორგანიზაციებს არქმევენ. 53. (შევამოწმოთ თქვენი მეხსიერება) მეკარე, რომელსაც 1981 წლის 13 მაისს ვიტალი დარასელიამ ქართული ფეზბურთის „საგვირგვინო" გოლი გაუტანა. 57. (...ერთხელაც შევამოწმოთ თქვენი მეხსიერება) იყო ასეთი ინდური ფილმი „განგა და ...... (ვინ?)". 58. 1787 წელს აღმოჩენილი თანამგზავრი პლანეტა ურანოსისა. 59. XX საუკუნის ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი. 60. (ღმერთმა ყველას გაშოროთ!) სატრანსპორტო „კონფლიქტის" უკიდურესი ფორმა. 65. (კარგი, ლამაზი და მშვენიერი) ნამდვილად ქართულსახელიანი ფრინველი. 66. (ლინგვისტური ამოცანა) სიტყვა „ჭაპანი" ყველას გსმენიათ... რომელ „საწყალოსნო-სატრანსპორტო" საშუალებაშია გაჟღერებული მისი ნარჩენი? 67. აფორისტულ-ბრძნული გამონათქვამის სახესხვაობა. 68. ქალის სრული ანტიპოდი დედამიწელი „სამეტყველო ორგანოების მოხმარების" საკითხში. 73. რუსული ცნობიერების გენიალური გამომავლინებელი პიროვნება. 74. მუსიკალური ცნება, რაც „წყვეტილად, მოკლედ" შესრულებას გულისხმობს. 75. ასე ვთქვათ, „წამქეზებელი"... (თქვენ ისე თქვით და კროსვორდში ჩაწერეთ). 79. ინგლისურენოვან სამყაროში გავრცელებული სახელი მამაკაცისა. 80. საერთაშორისო გამოფენა ან ფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. 81. ერთ-ერთი ასაკობრივი სახელი ერთი მეტად და მეტად ლამაზი და ძლიერი ნადირისა. 82. სისხლის შედედება. 87. საშუალება, რითაც ადამიანს ნებისმიერი ქვეყნის „გაცნობა" შეუძლია. 88. ვინ არის „კაი კაცი" ერთი შემგუებლური გამოთქმის თანახმად? 89. ბრძოლაში მონაწილეობის უტყუარი დადასტურება. 90. (...ერთხელაც შევამოწმოთ თქვენი მეხსიერება) ყველაზე იაფფასიანი საბჭოური ფოტოაპარატი. 91. რა შეიძლება „არ ჰონდეს" დიდი ზომის საგნებს? 96. ხელოვანი, რომელმაც სამყაროს სიტყვა „პაპარაცი" აჩუქა (რადგამ პაპარაცი მისი თანაკლასელი იყო). 97. სახლზე მიშენებული სახელდახელო ნაგებობა. 98. დამხმარე დანიშნულების ერთგვარი კონსტრუქცია ლითონისა. 99. შუასაუკუნეობრივი რელიგიური სპექტაკლი. 103. რა არის ფილმი „ტიტანიკი" თავისი არსით? 104. ძველსომხური ენა. 105. ჭეშმარიტებისაგან შორსმდგომი ანუ როგორი? 110. ავტომობილის შემადგენელი ნაწილი. 111. ასე ვთქვათ პოეტთა საუფლო.

**უნგრული ჩანართი**

112. უნგრული ეროვნული ცეკვა. 113. ჩვენთვის ყველაზე ახლობელი უნგრელი მხატვრის სახელი.

118. XX ს ცნობილი შვეიცარელი მწერალი და დრამატურგი. 119. „რომელმან შექმნა სამყარო..." რა იწყება ამ სიტყვებით? 120. სიტყვათა თამაშის სახესხვაობა. 124. ჩაის ბუჩქის ახლადგამოტანილი ყლორტი. 125. რა არ ეკარგება არასოდეს გაუცნობიერებლად შეყვარებულს? 126. ძველებური სასმისის სახესხვაობა. 127. ნამდვილი გვარი კაცობრიობის ყველაზე დიდი კომედიოგრაფისა. 128. ბიჭუნა რეზო ინანიშვილის ამავესახელიანი მოთხრობიდან. 133. ვაჟასეული პერსონაჟი „ბახტრიონიდან". 134. „საქართველოს სახურავი"... (კარგი გაგებით ვამბობ მის მკვიდრთათვის). 135. ევროპული წარმოშობის დასარტყმელი ინსტრუმენტი. 136. საფრანგეთის ისტორიული რეგიონი. 140. დასვენების დღეების წინა საღამო. 141. მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები. 142. საწერი კალმების მწარმოებელი ცნობილი ფირმა. 147. თანამედროვე რუსული პოლიტიკის ცნობილი წარმომადგენელი, რომელმაც 1998 წელს კოსმოსური ფრენაც შეასრულა. 148. ქართული პრივილეგირებული წოდებულება. 149. სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც უეჭველი დანგრევა ელის. 150. მუსლიმანური სამყაროს ერთგვარი ლიდერის ტიტული. 155. სამხედრო სასამართლო. 156. რა ეპითეტი დაუმკვიდრდა ბატონ ბორის პაიჭაძეს? 157. ავტორი ოპერისა „პორგი და ბესი". 161. ბერძნული წარმოშობის სახელი ქართველი მამაკაცებისა. 162. მეზარბაზნე ანუ ვინ? 163. კალათბურთელთა უმეტესობისათვის შესაფერისი ეპითეტი. 164. ძველრუსთა თავშეყრის სახესხვაობა. 165. ტურგენევის მოთხრობა. 166. ასე ვთქვათ, საფუძველი რაღაცის მტკიცებისათვის. 167. სანთლის წარმოების ნედლეული. 168. რა ჰქვია ცნობილ ჩოგბურთელს, სელეშს?

**შვეულად**: 1. სახელმწიფო აზიაში. 2. ამა თუ იმ საგნის შემცირებული ვარიანტი. 3. ქაღალდების გროვა... ორგანიზაციულ-ბიუროკრატიულად. 5. ყვავილი ჯემალ სეფიაშვილის შემოქმედებიდან. 6. ერთობ ბრტყელი ფორმის საკვები პროდუქტი. 7. სოფელი ქართლიში, რომელსაც გალაკტიონმა დიდებული ლექსი მიუძღვნა. 8. უკიდურესი სტრესული სიტუაციის სახესხვაობა. 10. 70-იანი წწ ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 11. შენობის სამკაული (ასე ვთქვათ). 12. ჩვენი ფლორის ერთ-ერთი „კალათბურთელი". 13. მიბაძვა ანუ რა? 14. უძრავო თვითმფრინავი. 15. რა მუსიკალური პროფესიისა რიაზანოვის ერთი ანტიბიუროკრატიული ფილმის მთავარი პერსონაჟი? 19. საზოგადოებრივი სახე და მნიშვნელობა ადამიანისა. 20. ძველი თოფების შემადგენელი ნაწილი. 21. პირველადყოფილი სიტყვის „ერთადერთი შთამომავალი". 25. რევაზ მარგიანის ცნობილი ლექსი. 26. რა ხდება ერთის „ქმედებით ქართულ კინემატოგრაფიაში? 27. რა ეპითეტი უძღვის ხოლმე წინ დაუჯერებელ და უკიდურესად მნიშვნელოვან მოვლენებს? 31. მთა, რომელიც ბიბლიას დედამიწის ყველაზე მაღალ მწვერვალად მიაჩნდა. 32. ასე ვთქვათ, ბრიკეტების დასამზადებელი საშუალება. 33. არცთუმთლად სრული ძილის სახესვაობა. 38. ფრანგი მწერალი, ავტორი რომანისა „რკინის მეფე". 39. (ბატონი) ხაინდრავა, თანამედროვე პოლიტიკოსი. 40. ერთი ჩვენი ცნობილი პარტიის აბრევიატურის მოსახსენიებელი ვარიანტი.

**იტალიური ჩანართი**

41. XIX საუკუნის იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ჰეროიკული წარმომადგენელი. 46. XX საუკუნის ცნობილი იტალიელი მწერალი და დრამატურგი.

47. ყმაწვილი ახლობელი მამრი ქალაქურ-კომპოზიტური ლექსიკიდან. 48. კომუნიზმის ერთ-ერთი ბაბუა. 49. შუა საუკუნეების რელიგიური მწვალებელი (სხვა რა შეიძლება ეწოდოს მათ?!). 54. ვარიანტი გვარისა, რითაც ჩვენს უდიდეს რეჟისორს ახლაც იხსენიებენ რუსეთში. 55. ცნობილი თანამედროვე იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი. 56. რუსი კინომსახიობი, თუნდაც ფილმიდან („იღბლიანი ჯენტლმენები"). 61. როგორი შეცდომა შეიძლება გაიპაროს წერა-მეტყველებისას? 62. მშვენიერი დასასვენებელი დაბა აჭარაში. 63. მედუდუკეთა კოლექტივი. 64. შვინდის ჩირი. 69. პერსონაჟი სესილია თაყაიშვილის შემოქმედებიდან. 70. სიდიდე, რომლისთვისაც დამახასიათებელია მხოლოდ რიცხობრივი მნიშვნელობა. 71. რა არის საჭირო ნებისმიერი სხდომის ჩასატარებლად? 72. თუ ესპანური სიმღერები (...და სამყარო) გიყვართ, არ შეიძლება არ იცოდეთ, თუ როგორ წარმოითქმის ამ ენაზე „გაზაფხული". 76. სამეტყველო კონტაქტის სახესხვაობა. 77. მეცხვარის „ინვენტარი". 78. რა უნდა ჰქონდეს ყოველ ადრესატს? 83. მხატვარი, რომელიც უფრო შავ-თეთრ ფერებში არჩევს მუშაობას. 84. დაძაბულსიუჟეტიანი ნაწარმოების სახესხვაობა. 85. კლავიშებიან საკრავთა საერთო სახელწოდება. 86. ამერიკის მკვიდრი მოსახლე. 92. ასე ვთქვათ, ფულის „ჩამდები" წარმოებაში. 93. კბილის სახეხი ატრიბუტიკის მწარმოებელი ცნობილი ფირმა. 94. ამერკელი მსახიობი ქალი, რომელმაც ახლახანს ნიკიტა მიხალკოვის ფილმშიც მიიღო მონაწილეობა. 95. ლანთანოიდების ოჯახის ქიმიური ელმენტი. 100. მუსიკოსის დამხმარე-დამზუსტებელი ხელსაწყო. 101. ცნობილი გვარის წარმომადგენელი მეკარე თბილისის „დინამოს" ახლო წარსულის ისტორიიდან. 102. შესანიშნავი ქართველი მოქანდაკე. 106. დავით გურამიშვილის სახელთან დაკავშირებული სოფელი ქართლში. 107. ავადმყოფური ჩვევა. 108. ამა თუ იმ ცნების სტრუქტურული ნაწილი. 109. „ქართული ზამთრის" მარგალიტი (ასეთი რამ ჯერ, მგონი, ჩვენში არ თქმულა?!) 114. შესანიშნავი ქართველი მხატვარი ქალბატონი. 115. როგორი წელია 2000 სპორტის თვალსაზრისით? 116. ოქროსმომპოვებლური რეგიონი კანადის ჩრდილოეთ ნაწილში. 117. ხელზე მკითხაობის სპეციალისტი. 121. აფრიკის სახელმწიფოს დედაქალაქი (ტირეს ნუ შეუშინდებით). 122. ერთგვარი ძვირფასი თევზი. 123. ტალღისებური ნაკეცების მქონე საგანგებო მკვრივი ქსოვილი. 129. ეპითეტი, რომელიც ხშირად ქალის მშვენიერი მკერდის დასახასიათებლად გამოიყენება ჩვენს ლიტერატურაში. 130. კვლევის სახესხვაობა. 131. ქალაქი-პორტი აშშ-ს დასავლეთ ნაწილში. 132. რაფაელ საბატინის სათავგადასავლო რომანი. 137. XX ს ინგლისელი მწერალი, ავტორი რომანის „ციტადელი". 138. საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მეზობლის ისტორიული სახელი. 139. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 143. ხომალდის სამართავი საშუალება. 144. სამაჭანკლო საქმიანობით დაკავებული სუბიექტი დასავლურქართული ცნობიერებიდან. 145. XIX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი. 146. მძიმე ტვირთების გადასატანი მისაბმელი. 151. მცენარის შთამომავალი. 152. მზის ღვთაების ერთ-ერთი სახელი ვედურ მითოლოგიაში. 153. ასაფეთქებელი ნივთიერება. 154. „ვაისა" და „უის" შორის არჩევანი. 158. უზბეკეთის ისტორიული ქალაქი. 159. სამხრეთამერიკული სახელმწიფოს დედაქალაქი. 160. საჭადრაკო ქმედება.

**შეადგინა**
**ალექსანდრე ელერდაშვილმა**



# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
**ვახტანგ ელერდაშვილი**
(პასუხები მე-14 გვერდზე)

**კითხვა №1**

თუ იტალიური ენის მცოდნეებს ვერწმუნებით, ეს სიტყვა ამ მშვენიერ ენაზე ჟღერს როგორც „დანგრეული ჯიხური“, თუმცა-კი „ამან“ მრავალ ადამიანს მარტო „ჯიხური კი არ დაუნგრია“, სიცოცხლეც მოუსწრაფა...

**რა სიტყვა იგულისხმება? (9 ქულა)**

**კითხვა №2**

მისი ღირებულება იმდენად მყარი იყო შუა საუკუნეების ევროპაში, რომ მას მრავალი ქალაქი თუ სახელმწიფო სავაჭრო ანგარისწორებისას იყენებდა; მისი საშუალებით შესაძლებელი იყო მიწის ნაკვეთების ყიდვა, მას მზითევში ატანდნენ (თუნდაც ქორწინების ტკბილმწარეობის სიმბოლოდ...)

**რა იგულისხმება? (11 ქულა)**

**კითხვა №3**

ამ პროფესიის სახელი ასე იშიფრება - „გიწვევთ“, თუმცა ახლა ისინი კი აღარ იწვევენ, არამედ მათთან დაიარებიან ადამიანები თავთავისი გაჭირვებისა თუ პრობლემების მოსაგვარებლად....

**რა პროფესიაა გამოხატული ამ სიტყვით? (10 ქულა)**

**კითხვა №4**

ყოველი ჭეშმარიტი მუსლიმანი თვალისჩინივით უფრთხილდება თავის ჩალმას. რაც უფრო დიდი და რაც უფრო ნაზი და ლამაზია ამ ჩალმის ქსოვილი, მით უფრო დაწყნერებით ეგებება ეს მუსლიმანი საკუთარ აღსასრულს...

**რატომ? (10 ქულა)**

**კითხვა №5**

ბერძნები ოდითგანვე დიდ მიდრეკილებას ავლენდნენ ხიფათითა და დიდი მოულოდნელობებით აღსავსე ზღვაოსნობისადმი. ამბობენ, რომ როცა ცნობილ ფილოსოფოსს ანაქარსისს ჰკითხეს, თუ ვინ უფრო მეტი რაოდენობისაა - მკვდარი თუ ცოცხალიო... მან უპასუხა - ჯერ დასაზუსტებელია, თუ რა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისინი, ვინც...

**ვინც.... რა? (8 ქულა)**

**კითხვა №6**

სამოსის ეს სახეობა შუა საუკუნეების სპარსეთიდან შევიდა რუსეთში და დასაწყისში ჩვეულებრივ ტანსაცმელად ითვლებოდა, შემდეგ რაღაც საპატიო ელფერი შეიძინა, ახლა კი „დასვენების ჟამის“ სამოსია, რომელსაც ჩვენი ქალებიც იცმევენ ხოლმე უპირატესად აგარაკებზე.

**რა სამოსი იგულისხმება? (8 ქულა)**

**კითხვა №7**

ერთი ძველი ეპიგრამის თანახმად - „თუ ადამიანი აქებს ინგლისს, ესე იგი ის ინგლისელია, თუ აძაგებს გერმანიას, ესე იგი ის ფრანგია და თუ აძაგებს ესპანეთს, ესე იგი ის....

**ვინ არის? (7 ქულა)**

**კითხვა №8**

ამ წიგნმა დიდება მოუტანა მის შემქმნელს და მასვე კათოლიკური ეკლესიის, ფანატიკოსების. პურიტანების თუ სხვათა რისხვა არგუნა იმავდროულად... თავად ავტორმა კი სიცოცხლის ბოლოს თავისი ნაწარმოები რომ გადაიკითხა, შესძახა - „ღმერთო დიდებულო! რა ნიჭიერი ვყოფილვარ, ამას რომ ვწერდიო!“ თანამედროვე მკითხველი კი ამ ნაწარმოებს აღიქვამს უფრო როგორც სათავგადასავლო სატირას...

**ვინ იყო ეს მწერალი? (9 ქულა)**

**კითხვა №9**

არსებობს ერთი გერმანული სიმღერა „შარმან კატრინ“, რამაც რუსულენოვან სამყაროში სახელი შეუქმნა წარსულში ერთ პოპულარულ ინსტრუმენტს...

**რომელს (იგულისხმება რუსული სახელი)? (6 ქულა)**

**კითხვა №10**

ძველ საბერძნეთში ასე უწოდებდნენ „ხალხის ბელადს“. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ თავისი მნიშვნელობის გამრუდება განიცადა და ახლა, ჩვენდა სამწუხაროდ, ისეთ ადამიანს ჰქვია, ვინც ხალხის მართვა-გაბრიყვებას საკუთარ ინტერესებს უმორჩილებს

**რა სიტყვა იგულისხმება? (11 ქულა)**

**კითხვა №11**

ფილმ „ტარზანის “ გადაღებების დროს, რომელიც აფრიკაში მიმდინარეობდა, საგანგებოდ მიიწვიეს ინდოელი „მსახიობები“ და აფრიკული გრიმი გაუკეთეს...

**ვინ იყვნენ ეს მსახიობები? (7 ქულა)**

**კითხვა №12**

60-იანი წლების ბოლოს აღმოაჩინეს მთები, რომლებიც ალპებს, კავკასიონს, პამირს და ჰიმალაებს აღემატებიან ერთად აღებულთ. მთათა ზოლი გადაჭიმულია72 ათას კილომეტრზე. ამ მთებს გააჩნია ათასობით სხვადასხვა ქედის განშტოება, მათ ახასიათებთ მიწისძვრები და იქ იფრქვევა დიდი რაოდენობის ვულკანები...

**სად მდებარეობს ეს მთები? (7 ქულა)**

**თანამედროვე მსოფლიოს 20 ყველაზე მაღალი შენობა (სატელევიზიო ანძის ჩაუთვლელად)**

| | აშ.წელი | სართულები | სიმაღლე |
|---|---|---|---|
| 1. პეტრონას ტაუერი - 1 კუალა-ლუმპური, მალაიზია | 1998 | 88 | 452 |
| 2. პეტრონას ტაუერი - 2 კუალა-ლუმპური, მალაიზია | 1998 | 88 | 452 |
| 3. სიას ტაუერი ჩიკაგო, აშშ | 1974 | 110 | 442 |
| 4. ჰიმ მაო ბილდინგი შანჰა, ჩინეთი | 1999 | 88 | 421 |
| 5. უორლდ თრეიდ სენტერ-1 ნიუ-იორკი, აშშ | 1972 | 110 | 417 |
| 6. უორლდ თრეიდ სენტერ-2 ნიუ-იორკი, აშშ | 1973 | 110 | 415 |
| 7. ემპაირ სტეიტ ბილდინგი ნიუ-იორკი, აშშ | 1931 | 102 | 381 |
| 8. სენტრალ პლაზა ჰონგ-კონგი | 1992 | 78 | 374 |
| 9. ჩაინა ბენკ ტაუერი ჰონგ კონგი | 1989 | 70 | 369 |
| 10. ტი ენდ სი ტაუერი კაოშიუნგი, ტაივანი | 1997 | 85 | 348 |
| 11. ამოკო ბილდინგი ჩიკაგო, აშშ | 1973 | 80 | 346 |
| 12. ცენტრი ჰონგ კონგი | 1998 | 79 | 346 |
| 13. ჯონ ჰენკოკ ცენტრი ჩიკაგო, აშშ | 1969 | 69 | 325 |
| 14. შუნ ჰინგ სკვაზა შენჟენი | 1996 | 88 | 421 |
| 15. სიტიკ პლაზა გუანჯოუ, ჩინეთი | 1997 | 80 | 322 |
| 16. ჩიკაგო ბიჩ ტაუერ ჰოტელი დუბაი | 1998 | 60 | 321 |
| 17. ბაიოკ ტაუერი II ბანგკოკი | 1997 | 90 | 320 |
| 18. კრაისლერ ბილდინგი ნიუ-იორკი, აშშ | 1930 | 77 | 319 |
| 19. ნეშენზ ბენკ პლაზა ატკანტა აშშ | 1993 | 55 | 312 |
| 20. ლაიბრარი ტაუერი, ლოს-ანჯელესი, აშშ | 1990 | 75 | 310 |






**თარაზულად:** 1. „რკინიგზელთა“ გუნდების სახელწოდება ყოფილი სსრკ-ს სივრცეში. 5. დავით ქლიბაძის საფეხბურთო გადაცემა. 12. თავისებურება, სტილი, რომელიც დიდ ფეხბურთელებსაც აქვთ. 13. 50-იანი წლების ბრაზილიელი ბომბარდირი. 14. ჰიმნი, რომელსაც მღერიან ინგლისელები „პირველ მერცხალთან“ მატჩის წინ. 17. კურორტი ლვოვის ოლქში, სადაც საბჭოთა გუნდები ხშირად ემზადებოდნენ ახალი სეზონისთვის. 18. „საგანი“, რომელიც მთელი „ამ დავიდარაბის“ მთავარი პერსონაჟია. 19. ამერიკის ველი, რომელზედაც ფეხბურთმა ვერ „იხარა“ (ჯერჯერობით!). 22. მეკარე ლამას სახელიცაა და მსახიობ სარას გვარიც. 23. რა არის ფეხბურთი თანამედროვე სპორტსმენისთვის? 24. გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი 70-იან წლებში. 28. საბჭოთა ნაკრების კაპიტანი 50-იან წლებში. 29. რა არის ნებისმიერი გულშემატკივარი, სპეციალისტისგან განსხვავებით? 30. მსახიობი, რომლის პერსონაჟი ექსტაზმორეული ამბობს: „მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მოატყუა მესამე, მოატყუა მეოთხე ...“ 34. დიდი გერმანელი ფეხბურთელიც და საშუალო ბრაზილიელი ფეხბურთელის ფსევდონიმიც. 35. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, კრუიფის პარტნიორი ნაკრებში. 36. ქართული ფეხბურთისთვის ყველაზე სასიხარულო თვე. 39. ჩვენი მშვენიერი ქალაქი, რომელიც საფეხბურთო ტრადიციებით (სამწუხაროდ!) არ გამოირჩევა. 40. მრავალი ფეხბურთელის დაღუპვის მიზეზი. 42. ბელგიის ქალაქი და გუნდი, სადაც ერთხანს რამდენიმე ქართველი მოღვაწეობდა. 43. ეს სამედიცინო პროცედურა საფეხბურთო „ეპიდემიის“ პროფილაქტიკისთვის არ გამოდგება. 46. (.....) ჟაკე, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის № 1 მწვრთნელი. 47. 80-იანი წლების შავკანიანი ინგლისელი ფეხბურთელი. 49. ქვეყნის მთავარი გუნდი. 50. პოლონეთის საკლუბო გუნდი. 52. 70-იანი წლების ბრაზილიელი ფეხბურთელი, „ხმელი ფოთოლის“ შესრულების ოსტატი. 53. მაღალი ბურთის დარტყმა ფეხით აკრობატულ ნახტომში. 57. (......) მეტიუზი, დიდი ინგლისელი ფეხბურთელი. 60. თბილისის „დინამოს“ ყველაზე პრინციპული მეტოქე სსრკ-ს ჩემპიონატებში. 61. „ფიორენტინას“ ამჟამინდელი მწვრთნელი, ჯოვანი (.......). 65. ფეხბურთელ ბერძენიშვილის ადვილად მისახვედრი „მეტსახელი“. 66. ქმედება, რომელსაც ფეხბურთელები ჩადიან ერთმანეთის მიმართ გატანილი გოლის შემდეგ. 67. ემანუელ პეტის გრძელი აქვს, რუმინელებს ყვითელი ჰქონდათ. 68. როგორც ამბობენ, ის ძლიერებს წყალობს (მათ შორის, ფეხბურთშიც). 72. ჰოლანდიის საკლუბო გუნდი. 73. ძველი ბასკი ფეხბურთელი. 75. 60-70-იანი წლების იტალიის ნაკრების ფეხბურთელი. 79. ევროპული ქვეყანა, რომლის ნაკრებს „წითელ ეშმაკუნებს“ ეძახიან, ფორმის ფერისა გამო. 80. როგორი ფეხბურთელები იყვნენ ძოფი, შილტონი, მილა, მეგრელაძე და ა. შ.? 81. რუმინეთის საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანი. 84. ქვეყანა, სადაც საპარიკმახეროებში აკრძალულია ფეხბურთსა და პოლიტიკაზე საუბარი. 85. იტალიის ნაკრები ანუ „სკუადრა (......)“. 86. რომელი ამერიკაა ძლიერი ფეხბურთში? 87. პასის უზადო ხელოვნებისთვის ფრანგ კოპას უწოდეს „ბატონი (.......)“. 88. ცნობილი ქართველი მეკარე. 89. ევროპის ქვეყნების ჩემპიონ გუნდთა გამაერთიანებელი.

**შვეულად**: 1. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ერთ დროს შემოღებული იყო ფრეთა ზღვარი ანუ (.......). 2. რა არის, ვთქვათ, ორი მეკარე გუნდში ერთმანეთისთვის? 3. სტადიონი, სადაც, ვთქვათ, მთელი ქუთაისი შეიძლება დაეტიოს. 4. ევროპის ყველაზე არასაფეხბურთო ქვეყნის, ლიხტენშტეინის დედაქალაქი. 6. ყველაზე დიდი ფეხბურთელი მსოფლიო ფიზიკის ისტორიაში. 7. იტალიის საკლუბო გუნდი, რომელიც თავის სახელწოდებას ამართლებს, შემადგენლობისა გამო. 8. სამხედრო წოდება, რომელიც მიენიჭა რუმინელ მწვრთნელ იორდანესკუს, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებული გამოსვლისთვის. 9. ვინ არის აფრიკ სიმონი ეუსებიოსთვის? 10. ის, ვინც დიდი გამარჯვება მოიპოვა (ვთქვათ, ბრაზილიის ნაკრებმა 1970 წელს). 11. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორი. 15. „ბარსელონას“ ამჟამინდელი კაპიტანი, ხოსე (......). 16. დაახლოებით რამდენი გოლი აქვს გატანილი პელეს თავისი კარიერის მანძილზე? 20. სსრკ-ში გულშემატკივართათვის არსებობდა პრიზი – „გუნდთან (......)“. 21. იტალიის წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული. 25. ქვეყანა, რომლის ნაკრებსაც 50-იან წლებში „დიდ გუნდს“ უწოდებდნენ. 26. „ლაციოს“ ამჟამინდელი კაპიტანი, პაოლო (......). 27. ქართული ფეხბურთის ვლადიმერი. 31. იტალიაში მოასპარეზე აფრიკელი ფეხბურთელი. 32. პასუხი თვით კითხვაშივეა: „ჩელსის“ ფეხბურთელი, რომელსაც კარგად ეხერხება ბურთის ფლობა. 33. როგორი მომენტია, ვთქვათ, პენალტი? 37. იგივეა, რაც გამთამაშებელი, დისპეჩერი. 38. „ბაიერნის“ მშობლიური მიწა. 41. ორგანიზაცია, რომელსაც ეკუთვნოდა „დინამოს“ გუნდები ყოფილ საბჭოთა კავშირში. 44. 30-იანი წწ საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელი, „შავ მარგალიტად“ წოდებული. 45. ცნობილი „ტორპედოელი“ ივანოვის სახელი. 48. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი, გიორგი. 51. ჯორჯ ვეას სამშობლო. 54. საფეხბურთო ტერმინი. 55. „იუვეს“ ქალაქი. 56. „ინტერის“ მწვრთნელი, მარჩელო (.......). 58. ინგლისური წარმოშობის სიტყვა, რომელიც რუსულად მწვრთნელს ნიშნავს. 59. რა შეიძლება გახდეს ფეხბურთელისთვის დიდი შეპირებული ჯილდო? 62. ადამიანი, რომლის ხსოვნასაც ეძღვნება ბენდელას თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში. 63. კიდევ ერთი ცნობილი ქართველი მეკარე. 64. როგორი შეიძლება იყოს ფეხბურთელის ვარდნა? 69. ვინ არიან (არიან!) წარმოშობით რაბაჰ მაჯერი და ზინედინ ზიდანი? 70. 80-90-იანი წწ ცნობილი კამერუნელი მეკარე. 71. ქვეყანა, რომლის ნაკრებსაც 30-იან წლებში „ვუნდერტიმს“ (საოცარ გუნდს) ეძახოდნენ. 74. ა. ღოღობერიძის მეტსახელი. 76. ბელგიელი ფეხბურთელი, ლუკ (.........). 77. ხაშურის გუნდის სახელი. 78. ზოგჯერ გუნდის მცველები ვარდებიან მასში. 82. გამარჯვების ქალღმერთი, რომლის სახე ჰქონდა მსოფლიო თასს 1970 წლამდე. 83. ფეხბურთის ერთ-ერთი ელემენტი.



